სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა ქვეყნის პირველობაზე თბილისის "დინამოს" და ერევნის "სპარტაკს" შორის ქვეყნის ჩემპიონატზე თბილისში 1 ოქტომბერს "ბურევესტნიკის" სტადიონზე ჩატარებული მატჩის საკითხი, რომელიც მსაჯის, ნ. ლატიშევის მიერ შეწყვეტილ იქნა მეორე ნახევრის 22-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 3:1 "სპარტაკის" სასარგებლოდ.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით თბილისის "დინამოს" ფეხბურთში საკავშირო შეჯიბრებების ჩატარების წესის შესაბამისად ჩაეთვალა წაგება და წინადადება მისცა საქართველოს ფეხბურთის რესპუბლიკის ფედერაციას მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს სათანადო წესრიგი "ბურევესტნიკის" სტადიონზე ფეხბურთში შეჯიბრებების ჩატარების დროს.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 6.10.61